თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2017 წლის მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-495 912.4) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 640 305.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 905 602.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება
	908,878.7	905,602.2
სესხები	309,979.5	309,672.5
აქციები და სხვა კაპიტალი	598,899.2	595,929.7

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 265 297.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება
	318,300.0	265,297.2
ვალუტა და დეპოზიტები*	233,300.0	146,170.4
სესხები	85,000.0	96,104.5
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	23,018.3
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	4.0

*ვალუტა და დეპოზიტებში 146 170.4 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის გამოყენებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 704 146.0 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2018 წლის 1 იანვრისათვის განისაზღვრა 557 975.6 ათასი ლარით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 1 136 217.5 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 651 605.1 ათასი ლარი, მათ შორის:

- 399 493.9 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 957 779.3 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 294 332.0 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება
	1,616,015.0	1,651,605.1
საშინაო	400,000.0	399,493.9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	400,000.0	399,493.9
საგარეო	1,216,015.0	1,252,111.3
სესხები	1,216,015.0	1,252,111.3

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	**294,332.0**
WB	259,375.7
EU	34,956.2
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**957,779.3**
WB	205,985.7
IFAD	6,047.6
EIB	180,368.0
EBRD	94,421.7
AIIB	22,980.2
ADB	245,464.3
საფრანგეთი	110,085.6
კუვეიტი	49.1
იაპონია	36,706.8
ავსტრია	4,888.3
გერმანია	50,782.0
სულ კრედიტები	**1,252,111.3**

2017 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 54 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1 488 000.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 1 096 518.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 16.1% იყო 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 39.3% - 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 23.2% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 16.0% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 5.4% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა თანხამ 1 448 006.4 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 1 048 512.5 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 399 493.9 ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 99.9%-ია.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება/დაფარვით 2017 წლის განმავლობაში საშინაო ვალდებულებების ცვლილება

ათას ლარებში

თვე	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული თანხა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ცვლილება
იანვარი	153,100.9	142,511.7	10,589.2
თებერვალი	135,344.6	100,041.7	35,302.9
მარტი	116,065.3	73,101.0	42,964.3
აპრილი	147,781.7	159,835.3	-12,053.6
მაისი	86,707.4	0.0	86,707.4
ივნისი	195,180.4	94,093.2	101,087.2
ივლისი	184,224.2	183,936.9	287.3
აგვისტო	116,727.5	99,292.0	17,435.5
სექტემბერი	78,542.5	19,905.1	58,637.4
ოქტომბერი	108,945.8	105,924.1	3,021.7
ნოემბერი	79,145.2	50,144.5	29,000.7
დეკემბერი	46,240.8	19,726.9	26,514.0
სულ	*1,448,006.4*	*1,048,512.5*	*399,493.9*

3. ვალდებულებების კლება 515 387.7 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	2017 წლის ფაქტიური შესრულება
	521,683.6	515,387.7
საშინაო	65,763.7	61,334.9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35,000.0	35,000.0
სესხები	2,080.0	2,080.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	28,683.7	24,254.9
საგარეო	455,919.9	454,052.7
სესხები	429,295.9	427,428.7
სხვა კრედიტორული დავალიანებები	26,624.0	26,624.0

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 16 956 .3 მლნ ლარი (სახელმწიფოს ვალი მშპ-სთან მიმართებაში 44.6 % შეადგენს) ,მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 3 535.5 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 320.8 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 147.0 მლნ ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 660.6 მლნ ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 734.7 მლნ ლარი; სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. “ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 13 420.8 მლნ ლარს.

ათას ლარებში

კრედიტორი	სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სახელმწიფო საგარეო ვალი	**13,420,829**
მთავრობის საგარეო ვალი	**13,199,331**
მრავალმხრივი კრედიტორები	**9,759,740**
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	3,012,502
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,939,521
	284,984
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	76,650
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	276,873

კრედიტორი	სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	348,196
ევროგაერთიანება (EU)	71,401
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	790,947
	1,875,549
	77,762
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	981,333
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	24,022
ორმხრივი კრედიტორები	**2,138,102**
ავსტრია	39,364
აზერბაიჯანი	22,953
თურქმენეთი	547
თურქეთი	44,019
ირანი	17,717
რუსეთი	183,052
სომხეთი	25,992
უზბეკეთი	462
უკრაინა	422
ყაზახეთი	56,373
ჩინეთი	5,975
გერმანია	742,555
იაპონია	545,170
კუვეიტი	31,831
ნიდერლანდები	2,778
ამერიკა	58,606
საფრანგეთი	360,287
ფასიანი ქაღალდები	**1,296,100**
ევროობლიგაცია	1,296,100
გარანტირებული კრედიტები	**5,389**
გერმანია	5,389
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**221,498**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	221,498